





ქ. თბილისი დ.ალმაშენებლის გამზირი №139ა-ში და ი.კარგარეთელის ქუჩა №2ა-ში განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა

დამკვეთი:
შპს. "ბლოკ-ჯორჯია"
გენ.დირექტორი
მამუკა ჯანაშვილი

შემსრულებელი:
ალა პროზოროვა

თბილისი
2014.03



ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი №139ა-ში
და ი.კარგარეთელის ქუჩა №2ა-ში
განთავსებული ნაგებობების და მიმდებარე ტერიტორიის
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



საკვლევი ტერიტორია შედგება ორი ნაწილისაგან - **დ.აღმაშენებლის გამზირი №139ა** (№139 შენობის შიდა ეზოში) **და ი.კარგარეთელის ქუჩა №2ა**. მდებარეობს ძველი თბილისის ადმინისტრაციულ რაიონში, ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების დაცვის ზონის საზღვრებში. არც ერთი ობიექტი, რომელიც განლაგებულია ამ ტერიტორიაზე, არ შედის თბილისის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი-ობიექტის ნუსხაში. პირველი ნაკვეთი - დ.აღმაშენებლის გამზირი №139ა *(ზონა 01, სექტორი 13, კვარტალი 08, ნაკვეთები 003/046) – წარმოადგენს ტერიტორიის ნაწილს, რომელიც ეკუთვნის* სააქციო საზოგადოება "ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს". აქ განლაგებულია რამდენიმე შენობა, სადაც განთავსებული იყო კლინიკის კორპუსი, ვივარიუმი და ინსტიტუტის სხვადასხვა ლაბორატორიები. ამჟამად ინსტიტუტი გადადის ქალაქის სხვა ადგილას, შენობები არ ფუნქციონირებს და სათავსოები თავისუფლდება. მეორე ნაკვეთზე - **ი.კარგარეთელის ქუჩა №2-ში** *(ზონა 01, სექტორი 13, კვარტალი*

08, ნაკვეთები 03/036, მესაკუთრეები აკაკი ბართაია და ამხანაგობა "კარგარეთელი №2ა") განლაგებულია ორი საცხოვრებელი შენობა.

კვლევის დამკვეთს განზრახული აქვს ამ ორივე ნაკვეთის გაერთიანება, მათზე განლაგებული შენობების და ნაგებობების დემონტაჟი და განთავისუფლებულ ტერიტორიაზე ახალი საცხოვრებელი შენობის (ან შენობების) აშენება. ამ პროექტის შესაძლო განხორციელებისთვის შესრულდა წარმოდგენილი კვლევა.



უბანს, სადაც განლაგებულია ჩვენი საკვლევი ტერიტორია, გააჩნია თავისი საინტერესო ისტორია. XVIII საუკუნეში ეს ტერიტორია მთლიანად დაფარული იყო ბუჩქნარით. ქალაქ თბილისის 1800 წლის რუკაზე დ.აღმაშენებლის პროსპექტის დასაწყისის ადგილზე, დღევანდელი ზაარბრიუკენის მოედნის მიდამოებში, აღნიშნულია სოფელი კუკია - თავისი ეკლესიით, დიდი კერძო ბაღითა და გალავნით. 1818 წელს კუკიას ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ დაასახლეს ვიურტენბერგიდან გადმოსახლებული გერმანელი კოლონისტების ნაწილი. მათ კეთილმოაწყვეს ეს ადგილი, გაიყვანეს სარწყავი არხი - ტერიტორიაზე გაჩნდა ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ ხილ-ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების ძირითადი მიმწოდებლები ქალაქ თბილისის ბაზარზე. 1823 წლისათვის კუკიას მოსახლეობა შეადგენდა 1008 ადამიანს. ამ პერიოდში აქ ძირითადად დაკავებულები იყვნენ ხელოსნობითა და სოფლის მეურნეობით. კუკიაში თითქმის ყველა მოსახლეს საკუთარი ბაღ-ვენახი ჰქონდა გაშენებული. 1842 წელს თბილისის მომწყობი კომისია ადგენს დოკუმენტს ქალაქის გარეუბნის კუკიის მოწყობის შესახებ, რომლის მიხედვითაც უნდა გარკვეულიყო რამდენი თავისუფალი და დაკავებული ადგილი იყო აღნიშნულ ტერიტორიაზე. 1847 წელს კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორნცოვის მითითებით, ინტენსიურად იწყება კუკიის დასახლება და განაშენიანება. სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა უბნის ძურითადი გრძივი ქუჩა, რომელსაც დაერქვა "მიხეილის" (კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორნცოვის) სახელი (1899 წლიდან

ქუჩას მიენიჭა პროსპექტის სტატუსი). **1853** წლიდან აქ ვრცელდება ქალაქის განაშენიანების წესები, ხოლო **1862** წელს შედის ქალაქის საზღვრებში. სწორედ ამ პერიოდში ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ახლოს, ქალაქის რუკებზე, საცხოვრებელ და ბაღების კვარტლებს შორის გაჩნდა საკმაოდ დიდი ტერიტორია "საიუნკერო სკოლის"* სახელწოდებით.



1867 წლის რუკა

საკვლევი ტერიტორია

"საიუნკერო სასწავლებელი"

ფოტო 2014 წ.



*ტიფლისის იუნკრების ქვეითთა სასწავლებელი

იუნკერების სასწავლებელი გაჩნდა იმპერატორის 1864 წლის 14 ივლისის-«რუსული არმიის კადრების მომზადების შესახებ» ახალი წესების დამტკიცების შემდეგ. ეს იყო ახალი ტიპი სამხედრო-სასწავლო დაწესებულებისა, რომლის მიზანი იყო ქვეითი და კავალერიის დაბალი რანგის წოდების ოფიცრების მომზადება. 1906 წელს გამოსულ საცნობარო-სამისამართო ალბომ «весь Тифлис"-ში "ტიფლისის მნიშვნელოვანი მოვლენების ქრონოლოგიურ მაჩვენებელში" ჩაწერილია: "1866 წელს 1 იანვას ტიფლისში გაიხსნა დროებითი იუნკერთა სასწავლებელი". კურსის დამთავრების შემდეგ იუნკერებს ენიჭებოდათ ქვეითი არმიის პოდპორუჩიკის წოდება. 1921 წელს ტიფლისის სასწავლებლის იუნკერმა მონაწილეობა მიიღეს წითელი არმიის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. იმავე წლის ტიფლისის ქვეითი იუნკერების სასწავლებელმა შეწყვიტა არსებობა. მის ბაზაზე გაიხსნა სამხედრო კურსები. ხოლო 1929 წელს შეიქმნა საარტილერიო დივიზია, რომელმაც დაიწყო არტილერიის ოფიცრების მომზადება და მოგვიანებით მიიღო დასახელება „თბილისის არტილერიის მეთაურთა უმაღლესი სასწავლებელი". 1992 წელს ე.წ. „ТАУ" გარდაიქმნა „ეკატერინბურგის არტილერიის მეთაურთა უმაღლესი სასწავლებელად" და გადავიდა ამავე ქალაქში.

ამჟამად ამ ტერიტორიის ნაწილი დაკავებულია „განათლების სარდლობის დეპარტამენტით". შენობების ნაწილი თავისი ფასადებით გამოდის აღმაშენებლის გაზირზე, რომელიც დაკავებულია სხვადასხვა კომერციული სტრუქტურებით.

საინტერესოა აღინიშნოს ერთი დოკუმენტი, რომელიც შენახულია ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 192, აღწერა 8, საქმე 202, **1889 წელი**). ეს არის **"მიმოწერა სათავსოს მოწყობის შესახებ, სიფილისტური ქალთა საავადმყოფოსა და ლაბორატორიისა, იუნკერების სასწავლებლის მოპირდაპირე ტერიტორიაზე, მიხაილოვსკის ქუჩიდან სიღრმეში"**. სამწუხაროდ ნახაზები არ შემორჩენილა, მაგრამ მიმოწერაში **მითითებული ტერიტორია საშუალებით შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი საკვლევი ობიექტის ადგილზე.**

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ჩამოყალიბდა გეგმარებითი სქემა – რეგულარული ქსელი, რომელსაც ქმნიან მიხეილის პროსპექტის პარალელური და პერპენდიკულარული ქუჩები. **1902, 1907, 1913, 1924** წლების თბილისის გეგმების მიხედვით, გერმანელთა კოლონიის ტერიტორია სწორკუთხა მონაკვეთებად არის დაყოფილი (ქუჩათა მონაცვლეობამაც უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე), რომლის უმეტესი ნაწილი "მწვანე მასივებს" ეკუთვნის. თავდაპირველად ეს კვარტლები მთლიანად იყო გამწვანებული. შემდეგ თანდათან ხდება მათი განაშენიანება საცხოვრებელი სახლებით, ძირითადად პერიმეტრის გასწვრივ, რომელიც მწვანე მასივების "ქუჩის ფასადს" ქმნიდა.



XIX საუკუნის 80-იან წლებში უბნის განაშენიანებაში ჩნდება ქალაქისათვის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები მიხეილის პროსპექტზე**, რომლებიც ასახავდა თბილისისთვის (ისევე, როგორც საქართველოსთვის და მთელი რუსეთის იმპერიისთვის) იმ დროისთვის დამახასიათებელ ეკლექტიკურ ტენდენციებს. იმდროინდელი საცხოვრებელი შენობები 1-2 სართულიანია. XX საუკუნის დასაწყისში, საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების გაჩენასთან ერთად, მათი მასშტაბი ოდნავ გაიზარდა 2-3 სართულამდე და ოდნავ "გამდიდრდა" ეკლექტიკური ფასადების დეკორირება (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შენობების სართულის სიმაღლე 3,5 - 4,5 მ.-ია).





ფოტოები მე-XXს. დასაწყისი

** ***დავით აღმაშენებლის პროსპექტი*** (თავდაპირველად – ***მიხეილის*** სახელი ერქვა, გასაბჭობის შემდეგ – გიორგი პლეხანოვისა, 1988 წლიდან დავით IV აღმაშენებლის სახელი ქვია) წარმოადგენს მარცხენა სანაპიროს მთავარ მაგისტრალს და თბილისის

მეორე *(რუსთაველის გამზ. შემდეგ)* საზოგადოებრივ ცენტრს. აღმაშენებლის პროსპექტი რუსთაველის პროსპექტთან ერთად წარმოადგენს თბილისის ცენტრის მთავარ საქალაქო მაგისტრალს. განივი კავშირი მტკვრის მარჯვენა სანაპიროსთან განხორციელებულია სამი ხიდის საშუალებით – ზაარბრიუკენის, გალაკტიონისა და თამარ მეფის ხიდის. დღევანდელი პროსპექტის სიგრძე 3 კმ-ია. ("დინამო"-ს სტადიონიდან ზაარბრუკენის მოედნამდე). პროსპექტის ხუროთმოძღვრული სახის ჩამოყალიბებაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თბილისში ცნობილმა არქიტექტორებმა: ლ.ბილფელდმა, პ.შტერნმა, ა.შიმკევიჩმა, ა.ზალცმანმა და სხვებმა.

პროსპექტზე განლაგებული იყო სასტუმროები, კინოთეატრები (მაგალითად ჩვენ სკვლევ ტერიტორიასთან ახლოს მდებარეობდა კინოთეატრი "აპოლო"), კლუბები, გერმანული და რუსული საკრებულოები, ტურისტის თავშესაფარი, აფთიაქები, გერმანული ეკლესია "კირხა", მრავალი მაღაზია და სახელოსნო. ჩვენ საკვლევ ტერიტორიასთან, პროსპექტის ხაზზე თბილისის 1902 წლის რუკაზე აღნიშნულია შენობა №262 - "კავკასიის მსროლელთა მე-2 ბრიგადის სამმართველო" (გეგმის მოხაზულობა იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ დღევანდელი აღმაშენებლის №137, ხოლო ქალაქის 1913 წლის რუკაზე № 303-ით აღნიშნულია სხვა შენობა - „ინდობრიტანული ტელეგრაფი" - ამჟამინდელი აღმაშენებლის გამზ. №141. მაშინდელი შემონახული ნაგებობებია, ჩვენ საკვლევ ტერიორორიასთან ახლოს ასევე კინოთეატრი "აპოლო" და ერთ-ერთი საინტერესო საცხოვრებელი სახლი, პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე - ოლდენბურგების საცხოვრებელი სახლი*** - ამჟამინდელი თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმი *(ოთხივე შენობა წარმოადგენს ქალაქ თბილისის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი/ობიექტი).* **სწორად მუზეუმის უკანა ეზო ესაზღვრება ჩვენი საკვლევი ობიექტს – ყოფილი კლინიკის შენობას**.

"აპოლოს" შენობა



თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმი



***თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმი - კარგარეთლის ქუჩა №6**-ში მდებარე შენობა 1895 წელს არის აგებული არქიტექტორ პაულ შტერნის მიერ, პრინც კონსტანტინე ოლდენბურგისა და მისი მეუღლე აგრაფინა ჯაფარიძესთვის. შენობა ასიმეტრიულია, განსხვავებულია ნაწილთა სართულიანობა (1-დან 3-მდე) და გადახურვა (კოშკურა მოცულობები და ციცაბო სახურავი). ნაგებობის მორთულობა ეფუძნება გოტიკურ სტილიზაციას. საბჭოთა ხანაში შენობას მიუშენდა მარჯვენა ნაწილი, რომლის არქიტექტურული მორთულობა თავდაპირველი ბირთვის დეკორს იმეორებს. 1921 წლიდან, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მოვიდა სათავეში, ოლდენბურგები თბილისში აღარ ცხოვრობდნენ. გარკვეული პერიოდი, შენობა ფუნქციონირებდა როგორც უნარშეზღუდულ ბავშვთა სახლი. მხოლოდ 80-იან წლებში გახდა იგი საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი.

თითოეულ მოსახლეს ჰქონდა საკუთარი მიწის ნაკვეთი გაშენებული ბაღ-ვენახით, რომლებიც განლაგებული იყო კვარტლების შიგნით, ხოლო განაშენიანება ხდებოდა ამ კვარტლების პერიმეტრზე. ამ პერიოდში პროსპექტის

ღერძის გასწვრივ ჩამოყალიბდა რამდენიმე თბილისში ცნობილი საზოგადოებრივი პარკი, რომელთა ნაწილიც დღემდეა შემორჩენილი გარკვეული ცვლილებებით (მაგალითად "მუშთაიდის" და "არტოს" პარკი). აქვე იყო ჩოგბურთის უძველესი მოედნები, კავკასიაში პირველი ველოტრეკი. ცოტა მოგვიანებით კვარტალური განაშენიანების შიგნით არსებული "მწვანე მასივები" გარდაიქმნა საზოგადოებრივ პარკებად, საზაფხულო კინოთეატრებად და ღია საკონცერტო სცენებად (მაგალითად - პარკი "ფანტაზია", მოგვიანებით მაქსიმ გორკის სახელობის, დღევანდელი "ვარდების პარკი"). პროსპექტზე და კიროჩნის ქუჩაზე გადიოდა კონკის ხაზი, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში გადაკეთებული იქნა ტრამვაისთვის.

1920-30 წლებიდან პროსპექტის სახე საფუძვლიანად შეიცვალა – აღებული იქნა ტრამვაის ხაზი და მოასფალტებული იქნა თავდაპირველად რიყის ქვით მოპირკეთებული გზა.

კინოთეატრი "აპოლო" ფოტოები 1960 წწ.





1933 წელს ძალაში შევიდა ქალაქ თბილისის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა, რომელიც გამომდინარეობდა ქალაქის განვითარების პერსპექტივიდან – როგორც დიდი ინდუსტრიული, ადმინისტრაციული და კულტურული ცენტრი, ასევე მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი. დაიწყო მტკვრის სანაპიროს მშენებლობა. დიდი სამამულო ომის დროს შეჩერებული ქალაქის მშენებლობა მთლიანად განახლდა 1940-იან წლების მიწურულს.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან, 50-იანი წლების ჩათვლით აქტიური მშენებლობის პერიოდში, ჩვენს საკვლევ რაიონში, ისევე როგორც მთელ ქალაქში და მთელ საქართველოში, ჩნდება ეგრეთწოდებული «სოცრეალიზმის» სტილის დამახასიათებელი შენობები. სწორედ ამ პერიოდში პროსპექტზე აშენდა ახალი ნაგებობები, ჩვენ საკვლევ ტერიტორიასთან ახლოს – საცხოვრებელი სახლი *(აღმაშენებლის გამზირი №147)* და "რკინიგზელთა კულტურის სახლი" *(აღმაშენებლის გამზირი №127-ა, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის / ძეგლის საარიცხვო ბარათი №010103224).*

საინტერესოა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ 1930-50-იან წლებში ქალაქის მრავალი საცხოვრებელი შენობა, აშენებული XIX და XX საუკუნის დასაწყისში, დაექვემდებარა რეკონსტრუქციას - გაუმაგრდა საძირკვლები და დაშენდა დამატებითი სართული. ეს დამატებითი საცხოვრებელი ფართი გათვალისწინებული იყო სხვადასხვა უწყებრივი სტრუქტურების თანამშრომლებისთვის. ამასთან, როგორც წესი, საპარადო ფასადის მხრიდან დამატებითი სართული გადაწყვეტილი იყო იმავე რიტმში, სტილში და მასალაში, როგორიც იყო ძირითადი მოცულობა. თუმცა რამდენადმე გამარტივებული დეტალებით (რაც იძლევა შესაძლებლობას ადვილად განისაზღვროს გვიანდელი დანაშენი). ხოლო შიდა ეზოს მხარეს თავდაპირველი ღია აივნები შენობის მთელ პერიმეტრზე მთლიანად ან ნაწილობრივ შემინული იქნა და გადაიქცა შუშაბანდებად. ამრიგად დამატებითმა სართულებმა უკვე არსებულ შენობებზე და ახლად აშენებულმა პომპეზურმა შენობებმა "სოცრეალიზმის" სტილში გაზარდა თბილისის ისტორიული ნაწილის განაშენიანების მასშტაბი.

ფოტო 2014 წ.



აღმაშენებლის გამზირი

შესასვლელი შიდა ეზოში

სანამ შევუდგებოდეთ უშუალოდ ჩვენი საკვლევი ობიექტის ისტორიულ და არქიტექტურულ ანალიზს, არ შეიძლება არ ითქვას ზოგიერთი შენობის მშენებლობაზე, რომლებიც გაჩნდნენ მიმდებარე ტერიტორიაზე 1970 წლების შემდეგ. ესენი როგორც წესი საცხოვრებელი ან ადმინისტრაციული 8-ან მეტი-სართულიანი შენობებია, აშენებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციებით, არაფრით განსხვავებული ახალი "საძინებელი" რაიონების სახლებისაგან, რომლებმაც თავისი "უსახო" მოცულობებით დისონანსი შეიტანეს ძველი ქალაქის სტრუქტურაში.

2010-12 წლებში აღმაშენებლის გამზირის რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული იქნა შენობების ფასადების რესტავრაციების სამუშაოები, მათ შორის №139-შიც. თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმის შენობაზე (კარგარეთლის ქუჩა №6), 2001-ში ჩატარებული იქნა შენობის საყრდენი კონსტრუქციების გამაგრება, ხოლო 2010-2011-წლებში გაგრძელებული იქნა გამაგრებითი სამუშაოები და მისი დამთავრების შემდეგ - შენობის სარესტავრაციო სამუშაოები.



"მწვანე შენობის" ახალი კორპუსი შიდა კვარტალურ სივრცეში

"მწვანე შენობა" მარჯანიშვილის ქუჩაზე

არ შეიძლება არ აღინიშნოს ასევე ახალი შენობების მშენებლობა ძველის ადგილზე. ხშირად ეს შენობები არღვევენ გარემომცველი

განაშენიანების ჩამოყალიბებულ ტაქტს, რიტმს და მასშტაბს (ასეთ მაგალითად შეიძლება დასახელდეს საცხოვრებელი სახლი №4 კარგარეთელის ქუჩაზე), მაგრამ აღმაშენებლის გამზირის უბანში მსგავს ახალ განაშენიანებას შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს, ჩემი შეხედულებით, რამდენიმე საინტერესო და დასაშვები მაგალითი: ესენია აღმაშენებლის გამზირის №112 (არქიტექტორი დ.აბულაძე), №23 (არქიტექტორი ნ.სეფისკვერაძე) და მარჯანიშვილის ქუჩის №6 (ე.წ. "მწვანე შენობა", არქიტექტორები ლ.მუშკუდიანი და გ.კიკნაძე).

კვარტალი, სადაც განლაგებულია ჩვენი საკვლევი ტერიტორია, წარმოადგენს სწორკუთხედს, შემოსაზღვრულს აღმაშენებლის გამზირით, ბაქოს, კარგარეთელის (ყოფილი ბაღის) და წინამძღვრიშვილის (ყოფილი დიდმთავრის, მოგვიანებით კლარა ცეტკინის) ქუჩებით. საკვლევი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც იმყოფება კვარტლის შიგნით, ადრე ექუთვნოდა სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს****, რომლის ადმინისტრაციული კორპუსი განლაგებული იყო №139 შენობაში. საარქივო მასალების მიხედვით 1898 წლიდან 1892 წლამდე აშენებული იყო ორი საცხოვრებელი სახლი წაგრძელებულ ნაკვეთზე მიხაილოვის პროსპექტსა და დიდმთავრის ქუჩას შორის. ნაკვეთი ეკუთვნოდა ინჟინერ-ტექნოლოგის სამოილოვიჩის ოჯახს. ორივე შენობა, რემდენიმე სარეკონსტრუქციო სამუშაოების შემდეგ, შენარჩუნებულია. ერთი ორსართულიანი შენობა თავისი საპარადო ფასადით გამოდის დ.აღმაშენებლის გამზირზე (დ.აღმაშენებლის გამზირი №139), ხოლო მეორე ერთსართულიანი, საპარადო ფასადით გამოდის წინამძღვრიიშვილის ქუჩაზე (წინამძღვრიიშვილის ქუჩა №141). იმდროინდელ მიხაილოვის პროსპექტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე, როგორც სხვა მეზობელ ნაკვეთებზე, შენობების შორის შიდა კვარტალში, მოწყობილი იყო ეზო-ბაღი. სწორად ამ ბაღში, მომავალში, 1931 წელს იქნება აშენებული ჩვენი საკვლევი შენობა-ობიექტი – სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის ინსტიტუტის კლინიკის კორპუსი. ხოლო №139 შენობაში 1921 წლიდან განლაგდა პარაზიტოლოგიის ინსტიტუტის ადმინისტრაცია.

**** სპირიდონ ვირსალაძის სახელობის **სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი-** პარაზიტული და ტროპიკული დაავადებების შესწავლისა და ბრძოლის სათავო დაწესებულებაა საქართველოში. 1912 წელს თბილისში შეიქმნა კავკასიის სამალარიო კომისია. 1921 წელს გაიხსნა ცენტრალური რესპუბლიკური სამალარიო სადგური, რომლის ბაზაზეც 1924 წელს დაარსდა ტროპიკული დაავადებების ინსტიტუტი. ინსტიტუტის სახელმა განიცადა სახელცვლილება და პროფესორ ს. ვირსალაძის (რომელიც 1924-1930 წლებში იყო ინსტიტუტის პირველი ხელმძვანელი) პატივსაცემად ეწოდა მისი სახელი. ინსტიტუტი შეისწავლის საქართველოში არსებულ პარაზიტულ და ტროპიკულ დაავადებების გავრცელებას, ეპიდემიოლოგიას, დიაგნოსტიკას, კლინიკას, მკურნალობას და პროფილაქტიკას. ინსტიტუტის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საქართველოში მალარიის სრული ლიკვიდაციის შენარჩუნება (1954 წელს საქართველოში მალარია ლიკვიდირებული იქნა როგორც მასობრივი დაავადება, ხოლო 1970 წელს მოხდა მალარიის სრული ლიკვიდაცია); ლეიშმანიოზის, ბრუცილოზის და ნაწლავის პროტოზოის ეპიდემიოლოგიის თანამედროვე სურათის დადგენა, პროფილაქტიკის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სრული მეთოდების შემუშავების მიზნით. **ინსტიტუტის კლინიკური განყოფილება** 50 საწოლიანია. განყოფილებაში მუშავდება პარაზიტული და ტროპიკული დაავადებების მკურნალობის და დიაგნოსტიკის ახალი მეთოდები.



საქართველოს ეროვნულ არქივში (უახლოესი ისტორიის განყოფილებაში) არსებობს დოკუმენტები ჩვენ საკვლევ ტერიტორიასთან დაკავშირებით (ფონდი 30, ამონაწერი 4-1, საქმე №874). ამ დოკუმენტებიდან ერთ-ერთია - "თბილისის ტროპიკული ინსტიტუტის შენობის გაფართოების საპროექტო დავალება" (პლეხანოვის გამზირი №139/141-ში), შედგენილი წინასწარი შესწავლის საფუძველზე, მათ შორის გეოლოგიური კვლევის. დავალება შედგენილი იქნა "საქკომუნპროექტის" №1 სახელოსნოში (განყოფილების უფროსი არქიტექტორი ნეპრინცევი, არქიტექტორები შავიშვილი და გაბაშვილი).

დავალება შედგენილი იყო 1938 წელს და ითვალისწინებდა ჩვენი საკვლევი არსებული კლინიკის შენობის რეკონსტრუქციის პროექტს და ამ შენობის მიშენების პროექტს, ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო-თეორიული ნაწილის განთავსებისთვის. ამ დოკუმენტში შეიძლება აღინიშნოს ჩვენთვის საინტერესო რამდენიმე ფაქტი, კერძოდ:

- ინსტიტუტის ნაკვეთის ფართი შეადგენდა 5420 მ^2-ს (მათ შორის იმავე წელს მიმატებული №141-ის ტერიტორია 500 მ^2). ამასთან განაშენიანების ფართი ცხოველების შესანახი დამხმარე სათავსების ჩათვლით შეადგენდა 28%-ს. მაგრამ "...ნაკვეთის კონფიგურაციიდან, მისი სივიწროვიდან და საზღვრების დანაწევრებიდან გამომდინარე არ იძლევა შესაძლებლობას რაციონალურად იქნეს გამოყენებული არსებული ფართი.";
- "2-სართულიანი კლინიკის შენობა აშენებულია 1931 წელს, რომლის კედლების სისქე, ზომები და საძირკვლების ჩაღრმავების დონე არ იძლევა დაშენების საშუალებას... **შენობის მდგომარეობა მიუხედავად მისი ექსპლუატაციის შედარებით მოკლე დროისა, დამაკმაყოფილებელი არ არის და მოითხოვს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას: იატაკქვეშა ვენტილაციის გაუმჯობესების და გადახურვის რემონტის თვალსაზრისით...**";
- "...ინსტიტუტის ნაკვეთს გააჩნია ძალიან მოუხერხებელი შესასვლელი პლეხანოვის გამზირის მხრიდან და კლარა ცეტკინის ქუჩის მხრიდან, სხვისი ეზოს გავლით... ყველაზე მისაღებია გაფართოება კარგარეთელის ქუჩის მხრიდან - განლაგდეს ყველა საჭირო სათავსო და იქონიოს დამაუკიდებელი შესასვლელი...".

ე.წ. “უკანა ფასადი” (1931 წ. მე-3 სართული – 1961 წ.)



საკვლევი ტერიტორია, ფოტო 2014 წ.



ე.წ. “საპარადო ფასადი” (შელესილი “დეკორი” 1961 წ.)

.

დამატებითი ტერიტორია, რომელზეც იყო ლაპარაკი, ინსტიტუტის შენობისთვის არ გამოყოფილა, თუმცა ინსტიტუტის სამეცნიერო-საკვლევო და სასწავლო-თეორიული ნაწილის განსათავსებლად 1939 წელს დაპროექტებული იქნა ახალი კორპუსი. საპროექტო შენობას გააჩნდა პომპეზური კოლონადიანი ფასადი და შესრულებული იყო "სოცრეალიზმის" სტილის გავლენით. მაგრამ შენობა არ აშენებულა. ამავე პროექტით გათვალისწინებული იყო ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია და კლინიკის კორპუსის მარცხენა ფრთაზე მცირე დაშენება, რომელიც იმავე წელსვე იქნა განხორციელებული.



გენერალური გეგმა - 1945 წ. და 2014 წ.





ხედები ადმინისტრაციული კორპუსიდან კლინიკისაკენ

საკვლევი ტერიტორია, ფოტო 2014 წ.

უნდა აღინიშნოს, რომ ამავე პერიოდში ჩატარებული იქნა ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსის, რომელიც საპარადო ფასადით გამოდის აღმაშენებლის გამზირზე (შენობა №139), პირველი სერიოზული რეკონსტრუქცია.

1960 წელს "საქმედრემპროექტის" მიერ დამუშავებული იქნა მთელი ინსტიტუტის შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქცია-გამაგრების (მათ შორის - **ავარიული კლინიკის კორპუსის)** - და საინჟინრო ქსელების რეკონსტრუქციის სამუშაოების პროექტი (არქიტექტორი - ბაგრატიონი). სამუშაოები შესრულებული იქნა 1960-61 წლებში. **გამაგრებული იქნა კლინიკის შენობის მზიდი კონსტრუქციები და გაკეთდა ახალი ფასადი, მიმართული ინსტიტუტის ადმინისტრაციული კორპუსის მხარეს**. რეკონსტრუქციის პროექტში აღნიშნულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი კლინიკის შენობის შესახებ – **მარცხენა ფლიგელში განთავსებული იყო რენტგენის კაბინეტი.** ახალი ფასადი გალესილია და შეღებილი (განსხვავებით დანარჩენი ფასადებისა, რომლებიც თავდაპირველად შესრულებული იყო სუფთა აგურის წყობით). იმავე პერიოდში შესრულებული იქნა ინსტიტუტის ტერიტორიის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები - მოწყობილი იქნა რკინა-ბეტონის ბორდიურები, ასფალტირებული იქნა ადრე მოკირწყლული ბილიკები და მოედნები.



კლინიკის კორპუსი - ხედი მუზეუმის უკანა ეზოდან



2000 წელს შპს. "კად სტუდია"-ს მიერ ასევე იყო დამუშავებული ჩვენი საკვლევი ინსტიტუტის "ფარმაკოლოგიური ლაბორატორიის რეკონსტრუქციის" პროექტი (არქიტექტორი გ.სუმბაძე). პროექტში საინჟინრო ქსელების რიგითი რეკონსტრუქციის გარდა მეორეჯერ იყო წარმოდგენილი ახალი 2-სართულიანი ლაბორატორიული კორპუსის აშენების პროექტი, რომელის ასევე არ იქნა აშენებული.

კლინიკის შენობა
დაპროექტებელი
და არ აშენებული
ლაბორატორიის კორპუსი

საკვლევი ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ინსტიტუტს, იმყოფება კვარტლის შიგნით, ინსტიტუტის შიდა ეზოში. როგორც უკვე ზევით იყო

აღნიშნული, საკვლევ ტერიტორიაზე შეიძლება მოხვდეთ ორი შესასვლელით - აღმაშენებლის გამზირის მხრიდან (ინსტიტუტის ადმინისტრაციული შენობის მარჯვნივ) და წინამძღვრისშვილის ქუჩის მხრიდან. ტერიტორიაზე არის მრავალი ძველი ხე, მათ შორის კიპაროსების ხეივანი. კიპაროსების ხეივანი იწყება ადმინისტრაციული კორპუსიდან და მთავრდება კლინიკის კორპუსის მთავარ შესასვლელთან. ხეივნის მარცხენა მხარეს აშენებულია ლაბორატორიებისა და ტექნიკური სამსახურის 1- და 2-სართულიანი ნაგებობები, რომლის უმრავლესობა იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში. ხეივნის მარჯვნივ ტერიტორია შემოღობილია მაღალი ყრუ კედლით, რომელიც საზღრავს თეატრის, მუსიკის, კინოს და ქორეოგრაფიის მუზეუმის შენობის შიდა ეზოს.



ინსტიტუტის დამხმარე ნაგებობენი (წინა და უკანა ეზოში)



კლინიკის გვერდითი ფასადების გასწვრივ არის ვიწრო გასასვლელები უკანა ეზოში. ამ ეზოში დგას რამდენიმე 1-სართულიანი შენობა, ყოფილი ვივარიუმისა, ავტოფარეხისა, სამრეცხაოსი და სხვა ტექნიკური სამსახურისა. ესთეტიკური თვალსაზრისით ყველა ნაგებობა, ამ ნაკვეთის ეზოში არ წარმოადგენს არავითარ ღირებულებას. ასეთივე დაბალ ესთეტიკურ სანახაობას წარმოადგენს მეზობელი საცხოვრებელი სახლების (წინამძღვრიშვილი №144 და №146) უკანა ფასადები, რომლებიც განლაგებულია ჩვენი საკვლევი ტერიტორიის საზღრის გარეთ, მაგრამ კარგად ჩანს აქედან.







კლინიკის ინტერიერები

ყველაზე დიდი შენობა ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ამ ნაკვეთზე არის 2-3-სართულიანი კლინიკა. გეგმარებით შენობა "П"-სახისაა, ბრტყელი საპარადო ფასადით მიმართულია ადმინისტრაციული კორპუსისაკენ და ორივე ფლიგელი-"მკლავით" უკანა ეზოსაკენ. მარცხენა "მკლავზე" დაშენებულია მე-3 სართული. კედლები აშენებულია სუფთა აგურის წყობით (1931 წ.), მთავარი (წინა) ფასადი გალესილია ვერტიკალური მონაცვლე სიბრტყეებით ფანჯრებს შორის (1961 წ.). ცოკოლი და კიბის მოედანი შესასვლელის წინ მოპირკეთებულია დახერხილი ბაზალტის ფილებით (1961 წ.). პირველი სართულის ღიობები სწორკუთხაა, მეორე სართულის ღიობებს კი გააჩნია დაბალი სეგმენტური ზღუდრები. მთელ მოცულობას ამთავრებს მაღალი, საფეხუროვანი სახურავის ზოლური-კარნიზი. სართულშუა გადახურვა ხისაა. **შიდა თაღოვანი ღიობების ნაწილი გამაგრებულია ლითონის კუთხოვანებით**. შიდა კიბე ჩამოსხმული მოზაიკისაა ლითონის კასაურებზე და გააჩნია ნაჭედი სადა მოაჯირები. ჰოლის იატაკები მოზაიკური ფილებითაა დაგებული, სველი წერტილების იატაკები - მეტლახით და ლინოლიუმით, ოთახების და დერეფნების იატაკები - პარკეტით. შიდა კედლები გაჯითაა გალესილი და შეღებილია. კარ-ფანრები ხისაა, 2-ფრთიანია და ფრამუგიანი. სახურავი 2-ქანობიანია და დაფარული შეღებილი თუნუქით.



ჩვენი საკვლევი ტერიტორიის მეორე ნაკვეთი სწორკუთხა ფორმისაა (კარგარეთელი №2-ა). ერთი ვიწრო მხრიდან ეკვრის ინსტიტუტის უკანა ეზოს, მეორე გამოდის კარგარეთელის ქუჩის წითელ ხაზზე. ნაკვეთის გრძივი მხარე ესაზღვრება საცხოვრებელი განაშენიანების მეზობელ ნაკვეთებს. ტერიტორიაზე იმყოფება ორი 1-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელთა შორის ჩაშენებულია პატარა დამხმარე სათავსო. შესასვლელი ორივე საცხოვრებელ შენობაში მოწყობილია საერთო ეზოდან. ქუჩაზე გამოდის შელესილი კედელი, დაბალი სახურავის კარნიზით, სამი სწორკუთხა ფანჯრით ცენტრში. ამ კედლის ნაპირებზე გამოყვანილია ბრტყელი პილასტრები კანელურებით. ორივე შენობის კედლები აგურისაა, გადახურვის კონსტრუქციები - ხისაა, რომლის ნივნივების პროფილირებული ბოლოები გამოდის ეზოს ფასადის მხარეს. სახურავი გადახურულია კრამიტით. შენობების ფასადებზე და ინტერიერებში არ არის რაიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული დეტალი. შენობები წარმოადგენენ რიგით საცხოვრებელ განაშენიანებას.





საკვლევ ტერიტორიაზე განლაგებული არც ერთი შენობა-ნაგებობა არ შედის თბილისის ისტორიისა და კულტურის ძეგლების ნუსხაში, მაგრამ იმის გამო, რომ მდებარეობს ქალაქის ისტორიულ დაცვით ზონაში, ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე საკვლევი ტერიტორიის ახალი ფუნქციით დაპროექტებისა და ახალი მშენებლობის განხორციელების დროს, სასურველია ქვემოთ მოცემული **რეკომენდაციების** მხედველობაში მიღება:

1. ისტორიული უბანი, სადაც განლაგებულია ჩვენი საკვლევი ობიექტი, თავისი 200-წლიანი ისტორიის განვალობაში სერიოზულად შეიცვალა თავისი ესთეტიკური, არქიტექტურული და ფუნქციური სახე – თავდაპირველი აგრარული კოლონისტების სოფელი, რომელიც განლაგებული იყო ქალაქის გარე უბანში, ამჟამად ითვლება, როგორც ერთ-ერთი პრესტიჟული ისტორიული ქალაქის საქმიანი და საცხოვრებელი უბანი. ჩვენ საკვლევ ნაკვეთში განთავსებულმა ობიექტმა 1921 წელს შეიცვალა თავისი „საცხოვრებელი“ ფუნქცია და გახდა სამედიცინო დანიშნულების. იმავე ნაკვეთში 1931 წელს აშენებული იქნა ჩვენი საკვლევი ობიექტი – კლინიკის კორპუსი-შენობა, რომელიც რამდენჯერმე იქნა გარემონტებული და რეკონსტრუირებული (ძირითადი რეკონსტრუქცია 1939 და 1961 წ.წ.), რომლის დროსაც გამაგრებული იქნა მისი მზიდი კონსტრუქციები - გამომდინარე თავდაპირველი უხარისხო აშენებიდან. თავდაპირველად ფასადები იყო შესრულებული აგურის სუფთა წყობით, ყოველგვარი არქიტექტურული დეკორის გარეშე. „საპარადო“ შელესილი და შეღებილი ფასადის „დეკორი“ შენობაზე გაჩნდა 1961 წლის რეკონსტრუქციის დროს. ამავე პერიოდში შენობის ფლიგელებზე დაშენებული იქნა მესამე საართული. შენობა არ წარმოადგენს რაიმე სახის საინტერესო არქიტექტურულ სტილს. ზემოთ აღნიშნული ყველა ფაქტის გათვალისწინებით და იმის გამო, რომ ესთეტიკური თვალსაზრისით შენობა არ წარმოადგენს არავითარ ღირებულებას (მათ შორის ისტორიული), ასევე იმ ფაქტის გააზრებით თუ რა ტიპის ლაბორატორიები იყო განლაგებული და რა ავადმყოფობის მკურნალობა მიმდინარეობდა წლების მანძილზე ამ შენობაში - აძლიერებს გადაწყვეტილებას მისი სრული დემონტაჟისა, რადგან ის რეკონსტრუქციის შემთხვევაშიც კი არ იქნება მორალურად გამოსადეგი საცხოვრებლად****. ამასთან ერთად ამ შენობაში გარკვეულ პერიოდში განლაგებული იყო რენტგენის კაბინეტი – საერთაშორისო სამედიცინო რეგლამენტის მიხედვით, სათავსოები, სადაც მუშაობდა რენტგენის აპარატურა,

აგრძალულრლია გამოიყენებული იქნეს საცხოვრებელი დანიშნულებით, აგურის ან ქვის კედლებში რადიაციის შენარჩუნების გამო. რაც კიდევ უფრო ამყარებს საკვლევი ტერიტორიის განაშენიანების სრული დემონტაჟის გადაწყვეტილების სისწორეს.

***** თბილისში უკვე არის ტერიტორიების რეკონსტრუქციის მაგალითები, როცა ყოფილი საავანდყოფოების და კლინიკების არსებული შენობა-ნაგებობები მთლიანად იყო დაშლილი, პირველ რიგში მისი ფუნქციური დანიშნულების გამო და მის ადგილზე იყო აშენებული (ან ამჟამად შენდება) ახალი საცხოვრებელი შენობები. ერთი ესეთი ობიექტია - აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე (ანუ ჩვენი საკვლევი ტერიტორიის ისტორიულ უბანში, ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვრებში), მთლიანად დაშლილი „ყოფილი მიხაილოვის საავნდყოფოს არსებული სულითავანდყოფთა განყოფილების" კორპუსები მეჩნიკოვის ქუჩაზე, რომელიც აშენებული იყო 1830-იან წლებში (ამჟამად აქ, შენარჩუნებული ძველი კიპაროსის ხეებს შორის, შენდება საცხოვრებელი კომპლექსი) და მეორე ობიექტი – ასევე ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთლიანად დაშლილი შენობები ასათიანის ქუჩაზე (აქ უკვე აშენებულია ქალაქში ერთ-ერთი პრესტიჟული საცხოვრებელი კომლექსი).*

მიხაილოვის საავადმყოფოსთან არსებული სულითავადმყოფთა განყოფილება ფოტო 1915 წ.



2. საკვლევი ტერიტორიის ყველა შენობა-ნაგებობა შეიძლება მთლიანად იქნას აღებული მეპატრონის სურვილისამებრ, ახალი პროექტის კონცეფციის შესაბამისად, ხოლო გამონთავისუფლებული ტერიტორია გამოყენებული იქნეს კეთილმოსაწყობად და ახალი შენობა-ნაგებობების ასაშენებლად (საკვლევ ტერიტორიაზე შესაბამისი მოქმედი ნორმებით განსაზღვრული ქალაქთმშენებლობის კოიფიციენტის და საერთაშორისო ნორმებითი არსებული ისტორიული ქალაქის დაცული ზონების წესების გათვალისწინებით);

3. სასურველია მთლიანად იქნეს შენარჩუნებული არსებული კიპაროსების ხეივანი, როგორც ერთ-ერთი პრესტიჟული და ჯამრთელობისთვის სასარგებლო მწვანე განაშენიანება, რომელიც ამასთან ერთად ტრადიციულია ამ უბნის განაშენიანებისთვის;

4. იმ შემთხვევაში, თუ პროექტის ავტორები განსაზღვრავენ საცხოვრებელ მოცულობას კარგარეთელის ქუჩის მხრიდან, სასურველია შეწიონ ის წითელი ხაზიდან კვარტლის შიგნით (მუზეუმის შენობის გასწვრივ);

5. ახალი საცხოვრებელი მოცულობა (ან მოცულობები) დასაშვებია დაპროექტდეს ნებისმიერი არქიტექტურული სტილით, ამასთან ერთად და იმის გამო, რომ თანამედროვე მშენებლობაში აქტიურად იკიდებს ფეხს ახალი სამშენებლო ტექნოლოგიები და აშკარაა "მინიმალისტური" ან „ჰაი–ტეკ"-ის სტილების გავლენა ახალი მოცულობის პროექტირებისას სასურველია გათვალისწინებული იქნეს სწორედ ეს ტენდენცია, მით უმეტეს, რომ საკვლევი რაიონი ხასიათდება სხვადასხვა არქიტექტურული სტილების ეკლექტიკური შერწყმით. ასეთ შემთხვევაში არ მოახდენს გარშემო განაშენიანების ისტორიული და მხატვრული სახის ფალსიფიცირებას. ამასთან ერთად შიდა კვარტალური განაშენიანების მოცულობა (ან მოცულობები) შეიძლება რეკომენდირებული იყოს მაღალი, თანახმად დასაშვები კოეფიციენტებისა, იმდენად, რამდენადაც ის შეუძლებელია გამოჩნდეს ახლო ქუჩებიდან, ამასთან თვით მოცულობის მაღალი დონეებიდან გაიხსნება პანორამების საინტერესო ხედები; ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ ახალი საცხოვრებელი მოცულობა (ან მოცულობები) განთავსდება კარგარეთელის ქუჩის მხრიდან, მუსიკის, თეატრის და კინოს მუზეუმის შენობის (ისტორიული ძეგლის) უკან, შესაბამისად ახალი შენობის (ან შენობების) ფასადი დაპროექტებული უნდა იყოს განსაკუთრებული სიფრთხილით, რათა არ დაირღვეს მუზეუმის შენობის ფონი კარგარეთელი ქუჩის მხრიდან;

6. საკვლევ ობიექტზე ახალი განაშენიანების ესკიზური პროექტის, შესათანხმებლად შესაბამის მუნიციპალურ სტრუქტურებთან რეკომენდირებულია წარდგენილი იქნეს არსებული განაშენიანების ე.წ. "ფოტომონტაჟი", მხოლოდ რეალური აქტიური თვალსაწიერის წერტილებიდან, ახალი ობიექტის საერთო კომპოზიციის და მასშტაბის წარმოსაჩენად – ანუ როგორ აღიქმება ობიექტი ესთეტიკურად გამვლელებისთვის ტროტუარიდან და მგზავრებისთვის ქუჩის სავალი ნაწილიდან. საპროექტო ობიექტის დანარჩენი წარმოდგენა (მაგალითად დრონიდან გადაღებული ფოტოსურათებით) საინტერესი იქნება მხოლოდ ობიექტის პრაქტიკული ფუნქციონალური და საინჟინრო საკითხების განხილვისას;

7. მუდმივი სატრანსპორტო პრობლემები – მათ შორის ქრონიკული დაბალი სატრანსპორტო გამტარუნარიანობა და საკმარისი პარკინგის ადგილის უქონლობა საკვლევის ტერიტორიაზე და მის ახლო-მახლო დამახასიათებელია ამ უბნისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ ორი არსებული შესასვლელი, აღმაშენებლის გამზირიდან და წინამძღვრიშვილის ქუჩიდან ვიწროა, საერთოა და შესაბამისად მოუხერხებელია - დამკვეთმა და პროექტანტებმა უნდა შექმნან ისეთი პროექტი, სადაც ავტომანქანების შესასვლელი გათვალისწინებული იქნება კარგარეთელის ქუჩიდან და მოეწყობა პარკინგი მაქსიმალური რაოდენობის ავტომანქანებისთვის.

ალა პროზოროვა

2014. 03.

allaprozorova@yahoo.com
+995 599 968130

ბიბლიოგრაფია და საარქივო მასალა:

- ვახტანგ ბერიძე, "**თბილისის ხუროთმოძღვრება – 1801-1917 წლები**"
  "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1960წ.
- ნოდარ ჯანბერიძე, სამსონ კინწურაშვილი, **"საბჭოთა საქართველოს არქიტექტურა",**
  საქართველოს არქიტექტორთა კავშირი, მოსკოვი – თბილისი, 1958წ.
- თენგიზ კვირკველია, **"თბილისის არქიტექტურა",**
  "საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1982წ.
- ნიკოლოზ ჯაში, **"სოციალისტური თბილისის ხუროთმოძღვრება",**
  "ხელოვნება", თბილისი, 1983წ.
- ნოდარ ჯანბერიძე, ირაკლი ციციშვილი, **"Архитектура Грузии – от истоков до наших дней",**
  «Стройиздат», მოსკოვი, 1976წ.
- **"თბილისი", ენციცლოპედია,**
  «ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია»,
  თბილისი, 2002წ.

გამოყენებული საარქივო დოკუმენტები, ისტორიული რუკები და ფოტოები:

- თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
- საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი
- ცენტრალური თბილისის არქივი